ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ტფილისი

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და ვლეხთა მთავრობისა.

1928 წლის ივლისის 16.	№ 15 განყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 148. 1-ლი საამიერკავკასიო ფიზკულტურის დღესასწაულში მონაწილე მუშა-მოსამსახურეთა კომპენსაციის შესახებ.

„ 149. ა/კსფსრ-ში კერძო კაპიტალის ხარჯით ბინების მშენებლობის წასახალისებელ ღონისძიებათა შესახებ.

„ 150. ინსტრუქცია ა/კ. ცენტ. აღმ. კ-ტისა და ა/კ. სახ. კ-თა საბჭოს მიერ „საზაფხულო და საზამთრო საძოვრების სარგებლობისათვის ყველგან ა/კსფსრ ტერიტორიაზე ერთიანი საჰექტარო-საკატეგორიო საიჯარო ფასის დაწესების შესახებ“ 1928 წლის აპრილის 30-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შეფარდებისათვის.

„ 151. გამომგონთა სამუშაოზე შესვლის წესის შესახებ.

„ 152. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული, მეტრული სისტემის შემომღები ამერკავკასის საუწყებათაშორისო კომისიის ლიკვიდაციის შესახებ.

„ 153. დიდი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის განმახორციელებელ პირთათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ.

„ 154. დიდი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის განმახორციელებელ სააქციო საზოგადოებათა წესდების დამტკიცების წესის შესახებ,

„ 155. წიგნის გამოცემისა და წიგნის ვაჭრობის საქმის მოწესრიგების შესახებ.

„ 156. მუშა-მოსამსახურეთა დაქირავებისა, დათხოვნისა და შრომის სასყიდლის გაცემის სფეროში უკანონო მოქმედებით მიყენებული მატერიალური ზიანისათვის თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესახებ.

„ 157. სოფლად საქონლის შემსყიდველ საწარმოთა რეგისტრაციის წესების შესახებ.

„ 158. ლეთონისა და ლეთონის ნაკეთობის საგასაცემო ფასების დაწესების შესახებ.

„ 159. 1928 წლის სამშენებლო სეზონში მშენებელთა შრომის ბაზრის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 160. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. ე. ბ. გენკირის განთავისუფლებისა და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. ა. ხუმარიანის დანიშვნის შესახებ.

„ 161. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 30 მუხ. „გ“ პუნ. შეცვლის შესახებ.

„ 162. სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა, დაწესებულებათა და საწყობთა სავაჭრო დარგის იმ მოსამსახურეების მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთაც მინდობილი აქვთ ქონებრივი ფასეულობა.

„ 163. დროებითი შრომის უუნარობის გამო განაღლების დარგში მომუშავეთათვის არდადეგების დროის განმავლობაში დახმარების მიცემის შესახებ.

„ 164. „რკინისგზისა და წყალსავალი გზის ტრანსპორტზე სოციალური დაზღვევის გადასახადის გამოსაანგარიშებლად სამუშაო ხელფასის ცნების განმასაზღვრავი დადგენილების მე-2 მუხ. „ე“ პუნ. გაუქმების თაობაზე“ სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს მიერ გამოცემული დადგენილების ა/კსფსრ-ში სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

„ 165. შრომის გმირთათვის და გარდაცვალებულ ან უგზოუკვლოდ დაკარგულ შრომის გმირთა ოჯახის წევრთათვის პენსიის დანიშვნის წესის შესახებ.

„ 166. „სამხედრო სამსახურში გაწვეულ და სამხედრო სამსახურში მყოფ მუშათა, მოსამსახურეთა და უმუშევართათვის შრომისა და სოციალური დაზღვევის დარგში მისაცემი შეღავათების ინსტრუქციის შეცვლისა და დამატების თაობაზე“ სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1928 წლის ივნისის 27-ს თარიღით გამოცემული დადგენილების ა/კსფსრ ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

148. 1-ლ საამიერკავკასიო ფიზკულტურის დღესასწაულში მონაწილე მუშა-მოსამსახურეთა კომპენსაციის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1-ლ სამიერკავკასიო ფიზიკური კულტურის დღესასწაულში 1928 წლის ივნისის 23-დან ივლისის 2-დე—ამრიცხვიოურთ—მონაწილე მუშათა და მოსამსახურეთათვის შენარჩუნებულ იქნეს სამსახურის ადგილი და საშუალო სამუშაო საშოვარი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. ივნისის 20. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 142 №-ში 1928 წ. ივნისის 21-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 50 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

149. ა/კსფსრ-ში კერძო კაპიტალის ხარჯით ბინების მშენებლობის წასახალისებელ ღონისძიებათა შესახებ.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „კერძო კაპიტალის ხარჯით ბინების მშენებლობის წასახალისებელ ღონისძიებათა შესახებ“ 1928 წლის აპრილის 17-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს განსაზღვრონ მინიმალური ოდენობა იმ დიდი სახლებისა, რომელთა აშენებაც ანიჭებს მოქალაქეთ და კერძო იურიდიულ პირთ სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების 2—15 მუხლ. გათვალისწინებულ შეღავათებს.

2. ნებართვას იმ საქციო საზოგადოების დაარსებისათვის, რომელიც მოქმედობს სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალის გარეშე და მიზნად 1-ლ მუხლში აღნიშნულ მშენებლობას ისახავს, უკეთუ მისი მოქმედების რაიონი ა/კსფსრ ფარგალს არა სცილდება,—გასცემს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი იმ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, რომლის ტერიტორიაზედაც უნდა იმყოფებოდეს დასაარსებელი საზოგადოების გამგეობა.

3. მე-2 მუხ. აღნიშნული სააქციო საზოგადოების წესდებას დამტკიცებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

4. 1-ლ მუხლში აღნიშნული სახლების მშენებლობა უნდა სწარმოებდეს მომქმედი სატეხნიკო-სამშენებლო და სასანიტარო-საჰიგიენო ნორმების მიხედვით.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული—1928 წ. აპრილის 17-ს—დადგენილების მე-7, 8, 10, 11, 12 და 13 მუხლების შესაბამი ცვლილებანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. ივნისის 7. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 143 №-ში 1928 წ. ივნისის 22-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქცია

150. **ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტისა და ა/კ. სახ. კ-თა საბჭოს მიერ „საზაფხულო და საზამთრო საძოვრების სარგებლობისათვის ყველგან ა/კსფსრ ტერიტორიაზე ერთიანი საჰექტარო-საკატეგორიო საიჯარო ფასის დაწესების შესახებ“ 1928 წ. აპრილის 30-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შეფარდებისათვის.**

1. საზაფხულო და საზამთრო საძოვრების სარგებლობისათვის დაწესდება მთლად ა/კსფსრ-ში ერთიანი საიჯარო ფასი ჰექტარობით და საძოვართა კატეგორიებისა და ხარისხების მიხედვით.

2. 1927—28 წლისთვის ყველა კატეგორიის საზაფხულო და საზამთრო საძოვრების საიჯარო ფასი ყოველი სამესაქონლეო მეურნეობისათვის გადიდებულ იქნეს 40 პროცენტით აქამდე მომქმედ განაკვეთთან შედარებით.

3. ამის გარდა, უფრო ღონიერი სამესაქონლეო მეურნეობათათვის დაწესებულ იქნეს კიდევ ათპროცენტიანი ზედნართი, რაც შეფარდებული უნდა იყოს 40 პროცენტიდან, ვიდრე 50 პროცენტის ფარგალში თანდათანობითი განაწილებით განსაკუთრებული შკალის მიხედვით.

4. სამესაქონლეო მეურნეობის ძალღონე განისაზღვრება საძოებელი საქონლის რაოდენობით.

5. ძალღონის მიხედვით მეურნეობანი განიყოფებიან სამს ჯგუფად:

ა) პირველ ჯგუფს შეადგენენ ის მეურნეობანი, რომელთაც ჰყავთ საძოებელი წვრილფეხა საქონელი 50 სულამდე;

ბ) მეორე ჯგუფს—51-დან 100 სულამდე;

გ) მესამე ჯგუფს—101 სული და ამაზე მეტი.

შენიშვნა. ხუთი სული წვრილფეხა საქონელი, საპირო საძოვარი სივრცის მიხედვით, გაეთანაბრება ერთ სულ მსხვილფეხა საქონელს.

6. საიჯარო ფასი პირველი ჯგუფის მეურნეობას გადაჰხდება 40 პროცენტით გადიდებული აქამდე მომქმედი განაკვეთის რაოდენობით; მეორე ჯგუფს 45 პროცენტით გადიდებული და მესამე ჯგუფს—50 პროცენტით გადიდებული.

შენიშვნა. იმ მეურნეობათა, რომელნიც საძოებლად თავთავიანთ საქონელს შეაერთებენ, საიჯარო ფასი გადაჰხდებათ იმავე კრიტერიუმის დაცვით ცალკეული სასაძოვრო მეურნეობის ძალღონის გამოსარკვევად და ისეთივე საიჯარო განაკვეთის შეფარდებით, როგორც დამოუკიდებლად იჯარით აღებული სასაძოვრო ნაკვეთისათვის.

7. აქამდე მომქმედ სასაძოვრო განაკვეთებად ითვლება შემდეგი განაკვეთები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძოვრის სახელწოდება	კატეგორია	დესეტინაზე გამოანგარიშებით	ჰექტარზე გამოანგარიშებით
საზაფხულო	I	1 მ. 20 კ.	1 მ. 10 კ.
	II	80 კ.	73 კ.
	III	50 კ.	46 კ.
საზამთრო	I	1 მ. -- კ.	92 კ.
	II	70 კ.	64 კ.
	III	40 კ.	37 კ.

8. 1927-28 წლის ზემოაღნიშნული ზედნართით პირველი ჯგუფის მეურნეობათათვის მივიღებთ საიჯარო ფასის შემდეგ ციფრებს, როდესაც ზედნართი 40 პროცენტია:

საძოვრის სახელწოდება	დესეტინაზე გამოანგარიშებით				საძოვრის სახელწოდება	ჰექტარზე გამოანგარიშებით			
	კატეგორია	1914 წ. განაკვეთი	40% ზედნართი	ს უ ლ		კატეგორია	1914 წ. განაკვეთი	40% ზედნართი	ს უ ლ
საზაფხ. . .	I	1—20	48	1—68	საზაფხ. . .	I	1 -10	44	1—54
	II	80	32	1—12		II	73	29	1—02
	III	50	20	70		III	46	18	64
საზამთრო	I	1—00	40	1—40	საზამთრო	I	92	37	1—29
	II	70	28	98		II	64	26	90
	III	40	16	56		III	37	16	52

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ჯგუფის მეურნეობათათვის იმავე დროისთვის 45 პროც. ზედნართით:

საძოვრის სახელწოდება	დესეტინაზე გამოანგარიშებით				საძოვრის სახელწოდება	ჰექტარზე გამოანგარიშებით			
	კატეგორია	1914 წ. განაკვეთი	45% ზედნართი	ს ულ /ვ		კატეგორია	1914 წ. განაკვეთი	45% ზედნართი	ს ულ /ვ
საზაფხ. . .	I	1—20	54	1—74	საზაფხ. . .	I	1—10	50	1—60
	II	80	36	1—16		II	73	33	1—06
	III	50	23	73		III	46	21	67
საზამთრო	I	1—00	45	1—45	საზამთრო	I	92	41	1—33
	II	70	32	1—02		II	64	29	93
	III	40	18	58		III	37	17	54

მესამე ჯგუფის მეურნეობათათვის 50 პროც. ზედნართით:

საძოვრის სახელწოდება	დესეტინაზე გამოანგარიშებით				საძოვრის სახელწოდება	ჰექტარზე გამოანგარიშებით			
	კატეგორია	1914 წ. განაკვეთი	50% ზედნართი	ს ულ /ვ		კატეგორია	1914 წ. განაკვეთი	50% ზედნართი	ს ულ /ვ
საზაფხ. . .	I	1—20	60	1—80	საზაფხ. . .	I	1—10	55	1—65
	II	80	40	1—20		II	73	37	1—10
	III	50	25	75		III	46	23	69
საზამთრო	I	1—00	50	1—50	საზამთრო	I	92	46	1—38
	II	70	35	1—05		II	64	32	96
	III	40	20	60		III	37	18	55

9. საძოვართა მელიორაციის მიზნებისათვის დაწესდება ანარიცხი იმ თანხის 25% რაოდენობით, რაც შესდგება სასაძოვრო განაკვეთის 40 პროცენტით გადიდების გამო.

10. საიჯარო ფასის იმ 10-პროცენტიანი ზედნართიდან, რაც დაწესებულია 40 პროცენტზე ზევით უმაღლეს 50-პროც. ნორმამდე,—ანარიცხი მელიორაციისათვის არ გადაიდება.

11. ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტისა და ა/კ. სახ. კ-თა საბჭოს ა/წ. აპრილის 30-ს თარიღის დადგენილების გამოქვეყნების მომენტიდან ყოველგვარი სახის პროცენტული დანარიცხი სასაძოვრო საიჯარო ფასზე, რაც აქამდე პრაქტიკაში აყო ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში, გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

12. საძოვრების მოიჯარადრეთაგან გადახდევინებული საიჯარო ფასი მთლად უნდა ჩაბარდეს რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების სალაროებს და ჩაიწეროს შემოსავლის სათანადო პარაგრაფსა და მუხლში.

13. საიჯარო ფასის ის ნაწილი, რაც მელიორაციისათვის არის დანიშნული (25 პროცენტი იმ 40 პროცენტის ფაქტიური შემოსავლისა, რომლითაც გადიდებულია სასაძოვრო განაკვეთი), როდესაც რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები ხელმიწევნით გამოარკვევენ ამ ნაწილის რაოდენობას, გატარებულ იქნება ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში ცალკე და სახარჯთაღრიცხვო წესისამებრ ასიგნვების სახით გადაიდება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების განკარგულებაში.

შენიშვნა 1. რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისათვის 1927-28 წლის 40 პროც. ზედნართის 25 პროც. ანარიცხის გადაცემის წესი განსაზღვრულ იქნება ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ინსტრუქციით.

შენიშვნა 2. მიმდინარე 1927-28 საბიუჯეტო წელს საძოვართა მელიორაციისათვის დანიშნული თანხები გამოიანგარიშება მხოლოდ იმ საძოვრებზე, რაც მიმდინარე წელს გაცემულ იქნება ახალი გადიდებული განაკვეთებით და მხოლოდ იმ დროიდან, რა დროიდანაც შეფარდებულ იქნება გადიდებული განაკვეთები.

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარი **ჰუსეინოვი**

სახელმწიფო შემოსავლის სამმართველოს უფროსი **ალამალოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 143 №-ში 1928 წ. ივნისის 22-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 94 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. ივნისის 20

151. გამომგონთა სამუშაოზე შესვლის წესის შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს: შემოღებულ იქნეს სამომ-დოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წლის ივნისის 9-ს თარიღისა და 342 №-რის დადგენილება „გამომგონთა სამუშაოზე შესვლის წესის შესახებ.“

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის შრომის ბაზრის განყ. გამგე **გრიგორიანი.**

დადგენილება № 342 სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. ივნისის 9.

გამომგონთა სამუშაოზე შესვლის წესის შესახებ.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „გამომგონებლობისათვის ხელის-შემწყობ ღონისძიებათა შესახებ„ 1928 წ. აპრილის 26-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 26 №-რი, მუხ. 235) დადგენილების მე-6 მუხლის თა-ნახმად—სსრკ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. ის პირი, რომელიც ცნობილია როგორც გამომგონი, რეგისტრაციაში გატარებულ უნდა იქნეს შრომის ბირჟის მიერ, იმისდა მიუხედავად, წევრია იგი პროფესიონალური კავშირისა თუ არა, რა ხანგრძლივობის შრომის სტაჟი აქვს და როდის დაანება უკანასკნელ საქირავნო სამუშაოს თავი.

2. შრომის ბირჟა პერიოდულად საინფორმაციო ცნობას მიაწვდის ბეჭ-დვითი სიტყვის მეშვეობით საწარმოთ და დაწესებულებათ 1-ლ მუხლში აღ-ნიშნულ ყოველი პირის შესახებ, ვინც-კი შრომის ბირჟის რეგისტრაციაშია გა-ტარებული.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირთ შრომის ბირჟა წარმართავს სამუშაოდ იმ მომუშავეთა კატეგორიების თანაბრად, რომელთაც უფლება აქვთ სამუ-შაოდ პირველ რიგში იყვნენ გაგზავნილნი.

4. შრომის ბირჟის რეგისტრაციაში გატარებულ, 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირთა სამუშაოზე მიღება მათი სპეციალობის მიხედვით საწარმოს და დაწესე-ბულებას შეუძლიან შრომის ბირჟის გარეშეც (ხოლო ბირჟისათვის შემდგომ აუცილებელი შეტყობინებით ამა თუ იმ პირის დაქირავების შესახებ), თუნდაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი პროფკავშირის წევრი არ იყოს და თუნდაც კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყოს სხვა წესი მომუშავეთა დაქირავებისა.

5. ამა დადგენილებით დაწესებული შეღავათები მიეცემა ამა თუ იმ პირს იმ პირობით, უკეთუ იგი წარადგენს სსრკ-ისა ან მოკავშირე რესპუბლიკების რომელიმე სახალხო კომისარიატთან არსებული, გამომგონებლობისათვის ხელისშემწყობი ორგანოს სათანადო მოწმობას, რომ ეს პირი ცნობილია როგორც გამომგონებელი.

სსრკ შრომის სახალხო კომისარი **შმიდტი**.

სსრკ შრ. სახ. კ-ტის კოლეგიის წევრი და
სსრკ შრ. სას. კ-ტის შრ. ბაზრის განყოფილების გამგე **გინდინი**.

შეთანხმებულია: სრულიად საკავშირო პროფკავშირთა
ცენტრ. საბჭოს პრეზიდუმის წევრი და
სატარიფო-ეკონომ. განყოფ. გამგე **გინზბურგი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 144 №-ში 1928 წ. ივნისის 23-ს.

დადგენილება № 52 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

152. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული, მეტრული სისტემის შემომღები ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო კომისიის ლიკვიდაციის შესახებ.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული, მეტრული სისტემის შემომღები ცენტრალური კომისიის ანგარიშის გამო" 1928 წ. მარტის 15-ს გამოტანილი (სსრკ კან. კრ. 1928 წ. მე-20 №-რი, მუხ. 179) დადგენილების თანახმად — ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

1. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული, საზომ-საწონთა მეტრული სისტემის გამტარებელი ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო კომისია გაუქმებულ იქნეს 1928 წლის ოქტომბრის 1-დან და მას წინადადება მიეცეს მოახდინოს ამ ვადისთვის ყველა თავისი საქმის ლიკვიდაცია.

2. სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მარტის 15-ს თარიღის დადგენილების მე-II კარის „ბ" პუნ. გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება — ა/კსფსრ ტერიტორიაზე საზომ-საწონთა მეტრული სისტემის საბოლოო განმტკიცებისათვის — დაეკისროს სათანადო სახელმწიფო დაწესებულებათ და საწარმოთ, აგრეთვე კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათ — მათ სათაოეში მდგარ პირთა პასუხისმგებლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ა/კსფსრ-ში საზომ-საწონთა მეტრული სისტემის საბოლოო განმტკიცებისათვის მეთვალყურეობის გასაწევად—ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან დაარსებულ იქნეს ინსპექტორის თანამდებობა, ხოლო ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებთან—ინსტრუქტორების თანამდებობანი, რომელნიც თავიანთ მუშაობას განახორციელებენ ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან მვოფი ინსპექტორის ხელმძღვანელობით.

4. როგორც ინსპექტორს, ისე ინსტრუქტორებს არა ჰყავთ თავიანთი აპარატი და გამოიყენებენ: პირველი—ამიერკავკასიის საზომ-საწონთა პალატის აპარატს, ხოლო მეორენი—საზომ-საწონთა შემმოწმებელი პალატების აპარატს ბაქოში, ტფილისში და ერივანში—თანადობით.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოსცენ დადგენილება საზომ-საწონთა მეტრული სისტემის გამტარებელი რესპუბლიკანური კომისიების 1928 წლის ოქტომბრის 1-დან გაუქმების შესახებ.

II.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის ოქტომბრის 29-ს თარიღისა და 53 №-რის დადგენილება—ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან საზომ-საწონთა მეტრული სისტემის შემომღები ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო კომისიის დაარსების შესახებ—(ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-11 №-რი, მუხ. 544) გაუქმებულ იქნეს 1928 წლის ოქტრის 1-დან.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქ. მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. ივნისის 21. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 146 №-ში 1928 წ. ივნისის 25-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

153. დიდი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის განმახორციელებელ პირთათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების (ა/კსფსრ კანონთა კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) 30 მუხლს დაემატოს მე-7 შენიშვნა შემდეგი რედაქციისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„**შენიშვნა 7.** ის კერძო პირი (იურიდიული და ფიზიკური), რომელიც განახორციელებს ისეთი დიდი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას, რის მინიმალური ოდენობაც სპეციალურ კანონშია აღნიშნული, განთავისუფლდება ასეთ სახლზე დასადები შენობის გადასახადისაგან სრულიად სამის წლის განმავლობაში დღიდან სახლის აგებისა და ნახევარი გადასადისაგან—აღნაგობის ხელშეკრულების მოქმედების დანარჩენი ვადის განმავლობაში“.

ბ. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 23 მუხლს დაემატოს მე-4 შენიშვნა შემდეგი რედაქციისა:

„**შენიშვნა 4.** ის კერძო პირი (იურიდიული და ფიზიკური), რომელიც განახორციელებს ისეთი დიდი საცხოვრებელი სახლის მშენებლებას, რის მინიმალური ოდენობაც სპეციალურ კანონშია აღნიშნული, განთავისუფლდება მისთვის ამ სახლის ასაგებად მიცემული მიწის ნაკვეთის რენტის გადახდისაგან სრულიად სამის წლის განმავლობაში დღიდან სახლის აგებისა და ნახევარი რენტისაგან—აღნაგობის ხელშეკრულების მოქმედების დანარჩენი ვადის განმავლობაში“.

გ. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულებას დაემატოს მე-40-^{1} მუხლი შემდეგი რედაქციისა:

„მუხ. 40-^{1}. ის ფიზიკური პირი, რომელიც განახორციელებს ისეთი დიდი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას, რის მინიმალური ოდენობაც სპეციალურ კანონშია აღნიშნული, განთავისუფლდება მუშათა ბინების მშენებლობის საჭიროებისათვის არსებული საბინაო გადასახადისაგან (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-10 №-რი, მუხ. 127) იმ საცხოვრებელ სივრცეზე, რაც მას და მის რჩენაზე მყოფ ოჯახის წევრებს უჭირავთ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წლის ივნისის 15. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 147 №-ში 1928 წ. ივნისის 27-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

154. დიდი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის განმახორციელებელ სააქციო საზოგადოებათა წესდების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სააქციო საზოგადოებათა წესდებების დამტკიცების წესის შესახებ“ 1928 წლის იანვრის 16-ს თარიღით გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-3 №-რი, მუხ. 37) დადგენილების მე-5 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი რედაქციისა:

„**შენიშვნა.** სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „კერძო კაპიტალის ხარჯით საცხოვრებელი სახლების მშენებლობის წამახალისებელ ღონიძიებათა შესახებ“ 1928 წლის აპრილის 17-ს თარიღით გამოცემული დადგენილებით გათვალისწინებულ სააქციო საზოგადოებათა დაარსებისათვის ნებართვის გაცემა და მათი წესდების დამტკიცება სწარმოებს სპეციალურ კანონში აღნიშნული წესით“.

ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტ. თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. ივნისის 15. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 147 №-ში 1928 წ. ივნისის 27-ს.

დადგენილება № 10 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

155. წიგნის გამოცემისა და წიგნის ვაჭრობის საქმის მოწესრიგების შესახებ.

ბეჭდვითი სიტყვის საქმის კომიტეტის დებულებისა („ზარია ვოსტოკა“-ს 62 №-ში 1928 წ. მარტის 16-სა) და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1928 წ. მაისის 7-ს თარიღისა და 78 №-ის დადგენილების მე-17 მუხლის თანახმად—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაეკალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობას—მის მიერ გასაყიდად გამოშვებული ლიტერატურის თვითეული ცალის გარეკანზე აღნიშნოს მისი ნომინალი (მტკიცე გასაყიდი ფასი).

2. გამომცემლობის მიერ გამოსაშვები წიგნის პროდუქციისათვის ნომინალის დასაწესებლად საკალკულაციო გამოანგარიშების ძირითად ერთეულად ჩაითვალოს პირდაპირი საწარმოო ხარჯები, რაც სამი ელემენტისაგან შესდგება: ა) საავტორო ჰონორარი, ბ) სტამბის ხარჯი და გ) ქაღალდი.

3. წიგნებისა და ბროშურების ნომინალი დაწესებულ უნდა იქნეს პირდაპირი საწარმოო ხარჯების თანხის—თვითეულ ცალკე შემთხვევაში—ისეთ კოეფიციენტზე გამრავლებით, რომლის საშუალო წლიური რაოდენობა თვითეულ გამომცემლობაში არ უნდა აღემატებოდეს 2, 5.

კოეფიციენტი შეფარდებულ უნდა იქნეს გამომცემლობის მიერ ისეთი ანგარიშით, რომ თვითეულ გამომცემლობაში ნომინალის საშუალო შემცირებამ 1927 წელთან შედარებით მიაღწიოს ერთ თაბახ ანაბეჭდზე არა ნაკლებ, ვიდრე 10 პროცენტამდე.

შენიშვნა. ნომინალის შემცირება ამა მუხლის თანახმად სავალდებულოა იმისდა მიუხედავად, თუნდაც ამა თუ იმ გამომცემლობამ შეამციროს ნომინალი სპეციალური ასიგნების ხარჯზე.

4. მიენდოს ბეჭდვითი სიტყვის საქმის კომიტეტს შეიმუშაოს სამი თვის ვადაზე და შეიტანოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიაში განსახილველად კოეფიციენტების სისტემა სხვადასხვა სახის ლიტერატურისათვის იმ ანგარიშით, რომ 1928-29 საოპერაციო წლის დასაწყისიდან გამომცემლობებმა შემოიღონ კოეფიციენტების გადიფერენცებული შკალა.

5. დაწესებულ იქნეს სახელმწიფო, კოპერატიულ და საზოგადოებრივ გამომცემლობათათვის შემდეგი წლიური საშუალო ნორმები ხარჯებისა და მონაკლებისა თვითეულ გამომცემლობაში:

ა) სარედაქციო-საგამომცემლო ხარჯი—არა უმეტეს პირდაპირი საწარმოო ხარჯების 10 პროცენტისა; ბ) საგამგებლო ხარჯები—არა უმეტეს 5 პროც.; გ) სავაჭრო ხარჯები, რაც ვაჭრობის აპარატზე მოდის,—არა უმეტეს ნეტტო ბრუნვის (ამონაგების) 15 პროცენტისა; დ) არასალიკვიდო ნაშთის რეზერვი—არა უმეტეს გამოშვებული პროდუქციის ნომინალის 20 პროც.; ე) მოგება—არა უმეტეს საქმეში მოთავსებული ფულადი თანხის 6 პროც., ვ) საფინანსო ხარჯები—არა უმეტეს საქმეში მოთავსებული ფულადი თანხის 10 პროც.; ზ) საშუალო წლიური სავაჭრო მონაკლები სასწავლო წიგნებზე თვითეულ გამომცემლობაში—არა უმეტეს ბრუნვის 20 პროც.-ისა ნომინალის მიხედვით; თ) სხვა სახის ლიტერატურაზე—არა უმეტეს ბრუნვის 25-ის პროც. ნომინალის მიხედვით.

6. ბეჭდვითი სიტყვის საქმის კომიტეტმა უნდა მოამზადოს წიგნის გამოცემის კალკულაციის ელემენტების ერთიანი ნომენკლატურა გამომცემლობის ანგარიშგების თანაბარი სისტემის დამყარებისათვის და ამა დადგენილების მე-4 მუხლში ჩამოთვლილი ხარჯების მუხლების გაზუსტებისათვის, რადგანაც ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი გამომცემლობა მოვალეა აწარმოოს თავისი ანგარიშგება აღნიშნული მე-4 მუხ. თანახმად და შემოიღოს იგი საქმეში მომავალი საანგარიშო წლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დაწესებულ იქნეს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და კერძო გამომცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საწარმოსათვის, რომ როდესაც იგი 1928-სა და შემდგომი წლების გამოცემის თარიღიან ლიტერატურას მიჰყიდის მაზრის მასშტაბისაზე არა მცირე წიგნის-მოვაჭრე საწარმოს, დაუკლოს ნომინალს სასწავლო წიგნებზე არა უმეტეს 25 პროცენტისა. და ყველა დანარჩენ გამოცემაზე არა უმეტეს 32 პროცენტისა, იმ ანგარიშით-კი, რომ თვითეული გამომცემლობის წლიური ხარჯი მონაკლებზე არ აღემატებოდეს ბრუნვის 20 პროცენტს—სასწავლო წიგნებზე და 25 პროცენტს—სხვა დანარჩენ ლიტერატურაზე ნომინალის მიხედვით.

შენიშვნა 1. სასწავლო წიგნად ამა მუხლში და შემდგომ მუხლებში იგულისხმება ის სასწავლო წიგნი და სახელმძღვანელო, რაც მოწონებულ იქნება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავლი სათანადო რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის მიერ I და II საფეხურის სკოლებისათვის.

შენიშვნა 2. სსრკ-ის ფარგლებ გარეგ გატანილ ლიტერატურაზე მე-7 მუხ. აღნიშნული ნორმები არ გავრცელდება.

8. იმ შემთხვევისათვის, როდესაც აღნიშნული ლიტერატურა (მუხ. 6) სოფლად წიგნის-მოვაჭრე საწარმოზე გაიყიდება, დაწესებულ იქნეს ნომინალის მტკიცე მონაკლები 18 პროც. რაოდენობით—სასწავლო წიგნებზე და 23 პროც. რაოდენობით სხვა სახის ლიტერატურაზე. სოფლად იმ წიგნის-მოვაჭრე პუნქტების მომუშავეთ, რომელნიც გამომცემლობათ არ ეკუთვნიან, უნდა ეძლეოდეთ პრემია არა ნაკლებ, ვიდრე მათ მიერ ნავაჭრი ლიტერატურის თანხის 15 პროცენტისა.

შენიშვნა. დაევალოს ბეჭდვითი სიტყვის საქმის კომიტეტს შეიმუშაოს ინსტრუქცია სოფლად წიგნის-მოვაჭრე პუნქტების მომუშავეთათვის პრემიის მიცემის წესის შესახებ და, შრომის სახალხო კომისარიატთან და პროფესიონალურ ორგანიზაციებთან შეთანხმების შემდეგ, გამოაქვეყნოს იგი.

9. იმ შემთხვევისათვის, როდესაც აღნიშნული ლიტერატურა ისეთ ორგანიზაციაზე გაიყიდება, რომელსაც განშტოებული ძირეული (სოფლად) ქსელი აქვს, ან რომელიც აწარმოებს მუშაობას ამ ქსელის მოსაწყობად და განსავითარებლად, მე-6 მუხ. აღნიშნული მონაკლები გადიდდება 5 პროცენტით.

10. იმ შემთხვევისათვის, როდესაც ლიტერატურა განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო, სასწავლო და კულტურულ-გამანათლებელ დაწესებულებაზე გაიყიდება ან ისეთ ორგანიზაციაზე (ადგილ. კომიტ., სტუდენტთა და სამხედრო მსახურთა შენაერთი), რომელიც წინვს გასაყიდად არ იქენს, შეიძლება მონაკლების შეფარდება, ხოლო არა უმეტეს ნომინალის 10 პროცენტისა.

11. მე-9 მუხლში აღნიშნულ წიგნის-მოვაჭრე ორგანიზაციებზე ლიტერატურის გაყიდვის დროს—ფრახტი, ნამდვილი ღირებულების მიხედვით, ხოლო არა უძვირეს გამყიდველი ორგანიზაციის გამგეობის სამყოფელი ადგილიდან დანიშნულების პუნქტამდე გადაზიდვის ღირებულებისა, მიეწერება მყიდველს.

როდესაც გამომცემლობა ლიტერატურას თავისი ვაჭრობის ქსელზე გასცემს, ფრახტი მიეწერება ამ უკანასკნელს და დაიფარება წიგნის ვაჭრობაში არსებული მონაკლებით (მუხ. 7).

12. როდესაც ლიტერატურა უშუალოდ ინდივიდუალურ მომხმარებელზე გაიყიდება, ნომინალის დაკლება არ შეიძლება.

13. ლიტერატურის ნისიად გაყიდვის დროს კრედიტის ვადა 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

დისკონტის ხარჯი მყიდველს მიეწერება.

14. ამა დადგენილებით დაწესებული მონაკლებნი ნომინალისა შეფარდებულ უნდა იქნეს ანგარიშის გასწორების პირობების მიუხედავად (ნაღდი, კრედიტი თამასუქით, ანგარიშის გახსნით და სხვ.).

15. ამა დადგენილებით დაწესებული მონაკლებნი ნომინალისა, ფრახტის გადახდის წესი და კრედიტის გაცემის ვადები არ გავრცელდება იმ პერიოდულ და ხელისმოწერით გასავრცელებელ გამოცემებზე, რაც ცალობითი გაყიდვისათვის არ გადაიცემა, აგრეთვე კალენდრებზე, გრაფიკზე (სურათების რეპროდუქცია და სხვ.). და სამხედრო წესდებებზე.

შენიშვნა. ხელისმოწერით გასავრცელებელი გამოცემების იმ ნაწილზე, რაც ცალობითი გაყიდვისათვის გადაიცემა, გავრცელდება მონაკლებისა და კრედიტის საერთო პირობები. ის გამოცემა, რომლის გარეკანზედაც ფასი არ არის დაბეჭდილი, გასაყიდად შეიძლება გამოიშვას მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დაესმის შტამპი ფასის აღნიშვნით.

16. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა და ვრცელდება ყველა წინად დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლიტერატურის იმ ნაწილზე, რაც ჩაბარებული არ იქნება ამა დადგენილების ძალაში შესვლამდე.

17. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სასამართლოს წესით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზარდიანი.**

ვაჭრ. სახ. კ-ტის კოლეგიის წევრი და ბეჭდვითი
სიტყვის საქმის კომიტეტის თავმჯდომარე **ლ. აღნიაშვილი.**

საქმეთა მმართველი **შახოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 152 №-ში 1928 წ. ივლისის 3-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 54 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

156. მუშა-მოსამსახურეთა დაქირავებისა, დათხოვნისა და შრომის სასყიდლის გაცემის სფეროში უკანონო მოქმედებით მიყენებული მატერიალური ზიანისათვის თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესახებ

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ა/კსფსრ-ისა და მასში შემავალი რესპუბლიკების ყველა უწყებასა, ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტსა, აგრეთვე ა.კსფსრ კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას მიიღოს გადამწყვეტი ღონისძიება, რათა მის ქვემდებარე დაწესებულებათ და საწარმოთ არ შეეძლოთ მუშა-მოსამსახურეთა დაქირავებისა, დათხოვნისა და შრომის სასყიდლის გაცემის საფეროში მომქმედ დადგენილებათა დარღვევა და რათა ის თანამდებობის პირნი, რომელნიც ხელმწიფოს ზიანის მიაყენებენ, უცილობლად პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი სისხლის სამართლის წესით, დისციპლინარული წესით ან მატერიალური (სამოქალაქო) პასუხისმგებლობის წესით.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს,—ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად, და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით,—გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების 1-ლი მუხლის შეფარდებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის დრ. თან. აღმასრ. **ბომბინი.**

1928 წ. ივნისის 14. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 153 №-ში 1928 წ. ივლისის 4-ს.

დადგენილება № 55 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

157. სოფლად საქონლის შემსყიდველ საწარმოთა რეგისტრაციის წესების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:
დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი წესები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ე ს ე ბ ი

სოფლად საქონლის შემსყიდველ საწარმოთა და პირთა რეგისტრაციის შესახებ.

1. ის საწარმო და პირი, რომელიც აწარმოებს საქონლის შესყიდვას ან ყიდულობს საქონელს შემდგომ გასაყიდად, მოვალეა რეგისტრაცია გაიკეთოს იმ სათემო, სადაირო და საუბნო აღმასრულებელ კომიტეტში, რომლის რაიონშიაც აწარმოებს შესყიდვის ოპერაციებს.

2. რეგისტრაციისათვის წარდგენილ უნდა იქნეს სასარეწაო პატენტი საქონლის შესყიდვის უფლებისა ან, უკეთუ საქონელი შეისყიდება სავაჭრო თუ სამრეწველო საწარმოთათვის, ამ საწარმოთა პატენტის ასლი. სათანადო შემთხვევაში წარდგენილ უნდა იქნეს პირადი სასარეწაო საქმიანობის პატენტი და მოწმობა.

3. უკეთუ შემსყიდველს პატენტი არ აღმოაჩნდა, შედგენილ უნდა იქნეს ოქმი, რაც გაეგზავნება უწყებული რაიონის საგადასახადო ინსპექტორს, ხოლო შესყიდულ საქონელი შეიკვრება.

4. სათემო, სადაირო და საუბნო აღმასრულებელი კომიტეტი შემსყიდველ საწარმოთა და პირთა რეგისტრაციისათვის აწარმოებს განსაკუთრებულ სარეგისტრაციო სიებს ამასთანავე დართული ფორმისას:

№№ რიგზე	რეგისტრაციის წელი, თვე და რიცხვი	**იმ პირის გვარი, სახელი, მამის სახელი და საცხოვრ ადგილი, ვინც შესყიდვას აწარმოებს, და იმ ორგანიზაციისა თუ საწარმოს სახელწოდება და მისამართი, რომლისთვისაც შესყიდვა სწარმოებს**	პატენტის კატეგორია, №, გაცემის ადგილი და დრო	შესყიდვის საგნები	შესყიდული საქონლის რაოდენობა	რა თანხისაა შესყიდული საქონელი	რომელ ინსპექტორს და როდის გაგზავნა ცნობა	შ ე ნ ი შ ვ ნ ა
1	2		4	5	6	7	8	9

საქართველოს სსრ ტფილისი

5. შემსყიდველი საწარმოს და პირის რეგისტრაციის შესახებ პატენტს დაესმის ვიზა შესყიდვის ადგილზე წარდგენისათვის.

6. აღმასრულებელი კომიტეტისა და სოფლის საბჭოს მოვალეობას შეადგენს თვალყური ადევნოს სოფლად საქონლის შესყიდვას როგორც კერძო მყიდველების მიერ, ისე სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა აგენტების მიერ.

7. სოფლის საბჭო მოვალეა გაუგზავნოს ხოლმე აღმასრულებელ კომიტეტსა და შინა-ვაჭრობის კომისიას ცნობა მის რაიონში შესყიდული სასოფლო მეურნეობის პროდუქციის თანხისა ან რაოდენობის შესახებ.

8. პერიოდულად, სამს თვეში ერთხელ მაინც, სათემო, სადაირო და საუბნო აღმასრულებელი კომიტეტი გაუგზავნის საგადასახადო ინსპექტორს დაწვრილებითი ცნობას მის რაიონში წარმოებული შესყიდვების შესახებ.

9. საგადასახადო ინსპექტორს უფლება აქვს, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობით, დაათვალიეროს სათემო, სადაირო და საუბნო აღმასრულებელ კომიტეტში სარეგისტრაციო სიები და, უკეთუ აღმოაჩენს რაიმე ნაკლულოვანებას, აცნობოს ეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს, თანაც ასლი ამ შეტყობინებისა გაჰგზავნოს საგადასახადო სამმართველოში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ბომბინი**

1928 წ. ივნისის 23. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 154 №-ში 1928 წლის ივლისის 5-ს

დადგენილება № 13 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. ივნისის 30.

158. ლითონისა და ლითონის ნაკეთობის საგასაცემო ფასების დაწესების შესახებ.

ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ" პუნ. და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1928 წ. აპრილის 9-ს თარიღის დადგენილების თანახმად და ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წ. აგვისტოს 18-ს თარიღისა და მე-13 №-ის დადგენილების დასამატებლად—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

I. დაწესებულ იქნეს შემდეგი ფასები ქვემოდ ჩამოთვლილ ნაკეთობაზე ფრანკო-ვაგონი ან ღია ბაქანი საერთო სარგებლობის რკინის გზის გაგზავნის სადგურზე:

1) თუჯი, მინერალურ სათბობზე გადასაქმნელი სამხრეთისა, ცენტრისა და ურალის ქარხნებისა, ტონნა—55 მან. და 50 კაპ.; თუჯი შეშის სათბობზე გადასაქმნელი ურალის ქარხნისა—58 მან.;

ეროვნული ბიბლიოთეკა

2) თუჯი ჩამოსხმული მინერალურ სათბობზე სამხრეთისა, ცენტრისა და ურალის ქარხნებისა, ტონნა—61 მან.; თუჯი ჩამოსხმული შეშის სათბობზე ურალის ქარხნისა—63 მან.;

3) რელსები სარკინიგზო, II ხარისხისა, ის ნაწილი, რაც ფართო ბაზარზე გაიტანება გამოუცდელად,—76 მან.;

4) რკინა ლენტური № 20—21×9 სმ. ყველა ქარხნისათვის, მათ შორის ლენინგრადის ქარხნებიდან გაგზავნის დროს—295 მან.;

ჩრდილო-დასავლ. ოლქისათვის, სხვათა შორის ლენინგრადისათვისაც, ფონაკო-დანიშნულების სადგური—315 მან.;

5) თუნუქი თეთრი, ჯოხად A-ს ხარისხისა—სამხრეთისა და ურალისათვის—ყუთი 18 მან.;

6) იგივე მოსკოვისა და ლენინგრადისათვის—ყუთი 18 მან. და 60 კაპ.;

7) საიარო მილების მოთუთიავება—ზედანაფასი შავი მილების ღირებულების 30 პროც. რაოდენობით;

8) საიარო მილების დამცავი რგოლები—ზედნაფასი სათანადო დიამეტრის მილების ღირებულების 2 პროც. რაოდენობით.

9) ბაქანზე ყოველგვარი მილების დასატვირთად საჭირო გაწყობილობის გაკეთებისათვის გადახდეევნებულ იქნბა ზედნაფასი 21 მან. რაოდენობით თვითეული ბაქანისათვის, იმ რკინის მილების გამოკლებით, რომლის დიამეტრი 4″-დეა (ამიანად) და სიგრძე—6 მეტრამდეა, აგრეთვე თუჯისა—6″-დე (ამიანად), რისთვისაც ზედნაფასი არ გადაიხდევინება.

II. ზედნაფასი და მონაკლები ცალკე ხარისხისა, თვისებისა, წონის შეფარდებისა, ტეხნიკური მიღებისა, სიგრძისა და სხვადასხვა სახით გაკეთებისათვის და სხვ. დაეთვის ამა დადგენილების 1-ლ მუხ. განსაზღვრულ ფასებს შავი ლითონის ზედნაფასების პრეისკურანტის მიხედვით, რაც გამოცემულია უმაღლესი სამეტალურგო საბჭოს მიერ 1926 წელს, სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წ. თებერვლის 4-ს დადგენილებაში აღნიშნული ცვლილებებითურთ (ჟურნ. „სოვეტსკაია ტორგოვლია“-ს 1927 წ. აპრილის 10 თარიღისა და 20—21 №-ის დამატება). ყველა აღნიშნული ზედნაფასი და მონაკლები წარმოებულ უნდა იქნეს ერთნახევარი რაოდენობით.

შენიშვნა. ზედნაფასი გადასაქმნელ და ჩამოსხმულ თუჯზე გადახდევინებულ იქნება ერთმაგი რაოდენობით, სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1928 წლის მარტის 4-ს თარიღისა და 450 №-ის ბრძანებით გათვალისწინებული წესისამებრ („ტორგოვო-პრომიშლენ. გაზეტა-“ს 54 №-რი 1928 წ. მარტის 3-სა).

III. დადგენილება ესე სავალდებულოა სახელმწიფო საწარმოთათვის, კოოპერატიულ ორგანიზაციათათვის და სახელმწიფო კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათათვის.

IV. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც შინაეაჭრობის წესების დარღვევისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

VI. დადგენილება ესე ძალაში შედის:

ა) სატრანზიტო ოპერაციებისათვის—ა/წ. მარტის 1-დან და გავრცელდება ყველა წინად დადებულ ხელშეკრულებაზე პროდუქციის იმ ნაწილის მიმართ, რაც აღნიშნულ ვადაზე ჩაბარებული არ არის;

ბ) საწყობებიდან გაცემისათვის—ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან;

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

საქმეთა მმართველი **შახოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 155 №-ში 1928 წ. ივლისის 6-ს.

დადგენილება № 18 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. ივნისის 1.

159. 1928 წლის სამშენებლო სეზონში მშენებელთა შრომის ბაზრის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.

თანახმად სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის იანვრის 23-სა და თებერვლის 23-ს დადგენილებებისა „1928 წლის სამშენებლო სეზონში სამშენებლო მუშაობის თავის დროზე დაწყებისა და მუშა-ძალით უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ", ყველა იმ საწარმოს, დაწესებულებას და ორგანიზაციას, რომელიც-კი სამშენებლო მუშაობას აწარმოებს, თავის დროზე, წინასწარ, უნდა დაედო შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებთან შეთანხმება მასსიური და ჯგუფური მუშა-ძალის მოკრეფის შესახებ, და თავის დროზე უნდა წარმოედგინა საორიენტო ცნობები საჭირო მუშა-ძალის შესახებ.

ამის გარდა, ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატმა გასცა დირექტივები აღნიშნული დადგენილების შესრულებისათვის შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ ა/კსფსრ-ში და სათანადო საშუამავლო ორგანოების ქსელისა და შტატების გაფართოების შესახებ, რათა შრომის სახალხო კომისარიატის აპარატი მოგვარებული ყოფილიყო სერიოზული საქმის შესასრულებლად—მშენებლობისათვის სათანადო კვალიფიციური მუშა-ძალის მიწოდების სფეროში, რისთვისაც გადადებული იყო სპეციალური სახსარი.

ხოლო აღსანიშნავია, რომ ა/კსფსრ-ში სამშენებლო მუშაობის მწარმოებელ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა თვალსაჩინო ნაწილმა, იმისდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად, რომ სამშენებლო სეზონი უკვე დადგა, არ წარადგინა შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებში საორიენტო ცნობები საჭირო მუშა-ძალის შესახებ და არ მიიღო ღონისძიება შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებთან შეთანხმების დადებისათვის მუშა-ძალის მოკრეფის შესახებ.

რადგანაც მშენებელთა შრომის ბაზრის ორგანიზაციულად მოწესრიგებას და მშენებლობისათვის შეუწყვეტლივ საჭირო მუშა-ძალის მიწოდებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე რადგანაც თავი იჩინა იმ საფთხემ, რომ შესაძლებელია 1928 წლის სამშენებლო სეზონის განმავლობაში ჩაიშალოს სამშენებლო მუშაობის გეგმიანობა და იგი თანაბრად ვერ განვითარდეს,—ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს:

1. ვალდებულჰყონ ყველა ის საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია, რომელიც სამშენებლო მუშაობას აწარმოებს და რომელსაც აქამდე არ დაუდვია შრომის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოსთან შეთანხმება მასსიური და ჯგუფური მუშა-ძალის მოკრეფის შესახებ და არ წარუდგენია საორიენტო ცნობები მისთვის საჭირო მუშა-ძალის შესახებ,—შეასრულოს უმოკლეს ვადაზე ზემოაღნიშნული მოთხოვნები, რაც გათვალისწინებულია სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. იანვრის 23-ს თარიღისა და თებერვლის 23-ს თარიღის დადგენილებებით.

2. წინადადება მისცენ თავიანთ ქვემდებარე საშუამავლო ორგანოებს და შრომის ინსპექციას გააძლიერონ ზედამხედველობა, რათა შესრულებულ იქნეს სსრკ სახ. კ-თა საბჭოს, ა/კსფსრ სახ. კ-თა საბჭოს, სსრკ შრ. სახ. კ-ტისა და ა/კსფსრ შრ. სახ. კ-ტის დირექტივები—1928 წლის სეზონში მშენებელთა შრომის ბაზრის მოწესრიგების შესახებ, ხოლო ის სამეურნეო ორგანოები, რომელნიც დაარღვევენ ზემოაღნიშნულ დირექტივებს, მისცენ პასუხისგებაში, როგორც შრომის მომქმედი კანონმდებლობის დამრღვევნი.

3. გამოიყენონ დანიშნულებისამებრ ის სპეციალური სახსარი, რაც გადადებულია საკორესპონდენტო პუნქტების მოსაწყობად, შრომის ბირჟებთან მშენებელთა სექციების გასაძლიერებლად და უმუშევართა ექსპერტიზის მოსახდენად, და უცილობლად იხელმძღვანელონ ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის დირექტივები ამ სფეროში.

4. გააძლიერონ თავიანთი მუშაობა უფრო დეფიციტიანი პროფესიებისა და მშენებელთა სპეციალობის უმუშევართა მომზადებისა და გადაკვალიფიკაციისათვის შრომის ბირჟების მიერ მოწყობილ მოკლევადიან კურსებზე, რისთვისაც სახელმძღვანელოდ უნდა მიიღონ სსრკ შრ. სახ. კ-ტისა და ა/კსფსრ შრ. სახ. კ-ტის დირექტივები ამ სფეროში, და ეს ღონისძიებანი შეუთანხმონ სათანადო პროფესიონალურ და დიდ მშენებელ ორგანიზაციებს.

5. რეგულიარულად, დაწყებული ა/წ. ივნისიდან, ყოველი თვის 1, 10 და 20 რიცხვში აცნობონ ხოლმე ა/კსფსრ შრ. სახ. კ-ტს: მშენებელთა შრომის ბაზრის მოწესრიგებისათვის წარმოებული მუშაობის მსვლელობა; მშენებელ მუშათა რიცხვის საკმაობა, ზედმეტობა და ნაკლებობა; ყველა ის შემთხვევა, როდესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშენებლო მუშაობის მწარმოებელი ორგანო პასუხისგებაში იქნება მიცემული; საკორესპონდენტო პუნქტების ქსელის გაშლისა და სექციების გაძლიერებისა, აგრეთვე უმუშევარ მშენებელთა გადაკვალიფიკაციისათვის წარმოებული მუშაობის მსვლელობა.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

შრომის ბაზრის განყოფილების გამგე **გრიგორიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 156 №-ში 1928 წ. ივლისის 7-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

160. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. ე. ბ. გენკინის განთავისუფლეიბისა და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილედ ამხ. ა. ხუმარიანის დანიშვნის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

I. ამხ. ე. ბ. გენკინის პარტიულ სამუშაოზე გადასვლის გამო, განთავისუფლებულ იქნეს იგი ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობისაგან.

II. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშნულ იქნეს ამხ. ა. ხ. ხუმარიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"ს 157 №-ში 1928 წ. ივლისის 8-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

161. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 30 მუხლის „გ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების 1926 წლის აგვისტოს 9-ს დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) 30 მუხლის „გ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„გ) გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოების კუთვნილი შენობები, სარკინისგზო და წყალსავალი ტრანსპორტისათვის მიჩენილ მიწებზე მდებარე, რაც აღნიშნული ორგანოების მიერ უშუალოდ გამოიყენება ტრანსპორტის საექსპლოატაციო საჭიროებისათვის ან ტრანსპორტის მუშათა და მოსამსახურეთა საცხოვრებლად.“

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა**

ა/კ. ცენტრალ. აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. ივლისის 4. ტფილისი—სასახლე.
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 158 №-ში 1928 წ. ივლისის 10-ს.

დადგენილება № 53 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

162. სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა, დაწესებულებათა და საწყობთა სავაჭრო დარგის იმ მოსამსახურეების მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთაც მინდობილი აქვთ ქონებრივი ფასეულობა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უკეთუ სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა, დაწესებულებათა და საწყობთა, აგრეთვე ტრესტებისა და სახელმწიფო და კოოპერატიული კაპინტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედი შერეული სააქციო საზოგადოებების საწარმოთა სავაჭრო დარგის ის მოსამსახურენი,—რომელთაც მინდობილი აქვთ, სათანადო პასუხისგებით, ქონებრივი ფასეულებანი, მათ შორის ბითუმი და ცალობითი ვაჭრობისათვის დანიშნული სასაქონლო ფასეულებანიც,—ზიანს მიაყენებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო და კოოპერატიულ ქონებას, ეს ზიანი ანაზღაურებულ უნდა იქნეს სრულად სამოქალაქო სარჩელის წესით შემდეგ შემთხვევაში:

ა) როდესაც დამქირავებელს მიეყენება ზარალი დაქირავებულისათვის საკანონო პასუხისგებით შესანახად ან სხვა მიზნით გადაცემული სასაქონლო ფასეულობის დაკლების გამო, უკეთუ ეს დანაკლისი აღემატება იმ ნორმას, რაც აუცილებლად განსაზღვრულ უნდა იქნეს მხარეთა შეთანხმებით, ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საორიენტო დანაკლისების მიხედვით, და უკეთუ, ამასთანავე, გა. მორკვეულია, რომ სავაჭრო დარგის მოსამსახურე თავის მოვალეობას დაუდევრად ეკიდებოდა;

ბ) როდესაც სავაჭრო დარგის მოსამსახურე არასათანადოდ დახარჯავს მისთვის სამეურნეო საჭიროებისათვის მინდობილ თანხას ან არ დაიბრუნებს ამ თანხის არადახარჯულ ნაწილს;

გ) როდესაც დამქირავებელს მიეყენება მატერიალური ზიანი სავაჭრო დარგის მოსამსახურის არაწესიერი მოქმედებით, რამაც გამოიწვია ის გარემოება, რომ დამქირავებელი იძულებული იყო ზედმეტი გადაეხადნა (ჯარიმა, საურავი და სხვ.), ან გამოიწვია მატერიალური ზიანი მით, რომ ფულადმა დოკუმენტებმა დაჰკარგეს ფასეულობა მთლად ან ნაწილობრივ:

დ) როდესაც დამქირავებელს მიეყენება ზარალი სავაჭრო დარგის მოსამსახურის ისეთი მოქმედებით, რისთვისაც იგი დეენილ უნდა იქნეს სისხლის სამართლის წესით ან სადისციპლინო სასამართლოს წესით.

2. ასანაზღაურებული ზიანის ოდენობის გამორკვევის დროს სასამართლო ორგანომ ანგარიშში უნდა მიიღოს არა მარტო მიყენებული ზარალი, არამედ აგრეთვე ის კონკრეტული ვითარება, რომელშიაც ეს ზარალი იქნა მიყენებული, და თანაც სავაჭრო მოსამსახურის მატერიალური მდგომარეობა. არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს მშრომელს ისეთი ზიანისათვის, რაც ნორმალურ საწარმოო-სამეურნეო რისკის კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს; აგრეთვე არ შეიძლება დამქირავებლის მიერ ხელიდან გაშვებული გამოსარჩენის გადახდევინება.

3. სავაჭრო დარგის მოსამსახურესთან დადებულ შრომის ხელშეკრულებაში მოთავსებულ უნდა იქნეს შეთანხმება ზიანის ამა დადგენილების წესისამებრ ანაზღაურების შესახებ.

4. დაევალოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს და გამოსცეს, ამა დადგენილებასთან შეფარდებით, წესები ზიანის ანაზღაურების შესახებ—ამ წესების სავაჭრო დარგის მოსამსახურეთა ანგარიშგასწორების წიგნაკში მოსათავსებლად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. ივლისის 14. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 158 №-ში 1928 წ. ივლისის 10-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 93 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. ივნისის 20.

163. დროებითი შრომის უუნარობის გამო განათლების დარგში მომუშავეთათვის არდადეგების დროის განმავლობაში დახმარების მიცემის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1928 წ. მაისის 10-ს თარიღისა და 319 №-ის დადგენილება „დროებითი შრომის უუნარობის გამო განათლების დარგში მომუშავეთათვის არდადეგების დროის განმავლობაში დახმარების მიცემის შესახებ.“

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სოციალური დაზღვევის

მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილე **თუშიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 159 №-ში 1928 წ. ივლისის 11-ს.

დადგენილება № 102 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. ივლისის 6

164. „რკინის გზისა და წყალსავალი გზის ტრანსპორტზე სოციალური დაზღვევის გადასახადის გამოსაანგარიშებლად სამუშაო ხელფასის ცნების განმსაზღვრავი დადგენილების მე-2 მუხ. „ე“ პუნ. გაუქმების თაობაზე“ სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს მიერ გამოცემული დადგენილების ა/კსფსრ-ში სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1928 წლის აპრილის 26-ს თარიღისა და 326 №-ის დადგენილება „რკინის გზისა და წყალსავალი გზის ტრანსპორტზე სოციალური დაზღვევის გადასახადის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსაანგარიშებლად სამუშაო ხელფასის ცნების განსაზღვრის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის „ე“ პუნქტის გაუქმების შესახებ (გამოქვ. გაზეთ „ტრუდ“-ის 144 №-ში 1928 წ. ივნისის 23-ს).

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სოც. დაზღვ. მთავარ
სამმრთვ. უფრ. მოადგილე **თუშიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 159 №-ში 1928 წ. ივლისის 11-ს.

დადგენილება № 103 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. ივლისის 6.

165. შრომის გმირთათვის და გარდაცვალებულ ან უგზოუკვლოდ დაკარგულ შრომის გმირთა ოჯახის წევრთათვის პენსიის დანიშვნის წესის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სამომქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1928 წ. მაისის 10-ს თარიღისა და 327 №-ის ინსტრუქცია „შრომის გმირთათვის და გარდაცვალებულ ან უგზოუკვლოდ დაკარგულ შრომის გმირთა ოჯახის წევრთათვის პენსიის დანიშვნის წესის შესახებ“ (გამოქვეყნებულია გაზ. „ტრუდ“-ის 147 №-ში 1928 წლის ივნისის 27-ს).

2. ამა დადგენილებაში აღნიშნული ინსტრუქციის 1-ლი მუხლი უნდა იხელმძღვანელებოდეს ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „შრომის გმირთა შესახებ“ 1927 წ. ოქტომბრის 25-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (ა/კ. შრ. სახ. კ-ტის შრომის კანონმდ. „ვესტნიკ“-ის 1927 წ. 21 №-რი) 1-ლი მუხლთან შეფარდებით.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კსფსრ შრ. სახ. კ ტის სოციალური დაზღვევის
მთავარი სამმართვ. უფროსის მოადგილე **თუშიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 159 №-ში 1928 წ. ივლისის 11-ს.

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 105 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. ივლისის 13.

166. „სამხედრო სამსახურში გაწვეულ და სამხედრო სამსახურში მყოფ მუშათა, მოსამსახურეთა და უმუშევართათვის შრომისა და სოციალური დაზღვევის დარგში მისაცემი შეღავათების ინსტრუქციის შეცვლისა და დამატების თაობაზე“ სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1928 წლის ივნისის 27-ს თარიღით გამოცემული დადგენილების ა/კსფსრ ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წ. ივნისის 27-ს თარიღისა და 363 №-რის დადგენილება „სამხედრო სამსახურში გაწვეულ და სამხედრო სამსახურში მყოფ მუშათა, მოსამსახურეთა და უმუშევართათვის შრომისა და სოციალური დაზღვევის დარგში მისაცემი შეღავათების ინსტრუქციის შეცვლისა და დამატების შესახებ“

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

საერთო-საორგანიზაციო განყოფილების გამგე **ათაბეკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 162 №-ში 1928 წ. ივლისის 14-ს.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 1473. დაიბეჭდა 1000.